ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 9

"23" იანვარი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შარტავას ქ. №4 და №6 კორპუსებს შორის მდებარე 4 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.10.13.021.048; №01.10.13.021.049) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ. 207909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, შარტავას ქ. №4 და №6 კორპუსებს შორის მდებარე 4 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.10.13.021.048; №01.10.13.021.049) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ 207909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №23.2122.2341 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, შარტავას ქ. №4 და №6 კორპუსებს შორის მდებარე 4 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.10.13.021.048; №01.10.13.021.049) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ. 207909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3120 (სამი ათას ას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე